# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## დადგენილება № 6-23

"27" მარტი 2015 წ

ქ. თბილისი

**დედაქალაქის ტერიტორიაზე მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ" ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის, „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 8 ოქტომბრის №784 ბრძანებულებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 და 25-ე მუხლების საფუძველზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს:

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ტერიტორიების ნორმატიული ფასის ზონების საზღვრები დანართი 1-ით განსაზღვრული სქემატური რუკის და აღწერილობის შესაბამისად;

ბ) დედაქალაქის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი დანართი 2-ის შესაბამისად.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „დედაქალაქის ტერიტორიაზე მიწის ნორმატიული ფასის და სასყიდლიანი სარგებლობის საწყისი წლიური ქირის ოდენობის დადგენის შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 28 მარტის №6-7 გადაწყვეტილება.

3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე  გიორგი ალიბეგაშვილი

# ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში
# არსებულ ტერიტორიაზე მიწის საბაზრო ფასების
# განახლებული ზონირების რუკა

თებერვალი, 2014 წ.

1:30,000




Z: - ზონის კოდი
P: - ზონის საბაზრო ფასი (1 კვ.მ-ლარი)
H: - ზონის ნორმატიული ფასი (1 კვ.მ-ლარი)
L: - ზონის [illegible] ფასი (1 კვ.მ-ლარი)
A: - ზონის [illegible] ფასი (1 კვ.მ-ლარი)

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ
ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში
არსებულ ტერიტორიაზე მიწის საბაზრო ფასების
განახლებული ზონირების რუკის განმარტებითი ბარათი

(აღწერილობა)

| ზონის კოდი | უბანი | ქვეუბანი | ზონის აღწერილობა |
|---|---|---|---|
| 1 | დიღომი | განაპირა დიღომი | დ.დიღომსა და ადმინისტრაციულ საზღვარს შორის მდებარე ქვეუბანი (500-მეტრიანი ზოლი აღმაშენებლის ხეივნის ზონიდან დასავლეთის მიმართულებით) |
| 2 | დიღომი | განაპირა დიღომი 1 | განაპირა დიღმის ქვეუბნის დასავლეთის მხარის გაგრძელებაზე რეგისტრირებული ნაკვეთების საზღვრების ბოლომდე |
| 3 | დიღომი | დ.დიღმის 1-ლი და მე-2 მ/რ | მოიცავს დ.დიღმის 1-ლი და მე-2 მ/რ, აგრეთვე მიწას ამ მ/რაიონებიდან დავით აღმაშენებლის ხეივნის ზონამდე |
| 4 | დიღომი | დ.დიღმის მე-3 და მე-4 მ/რ | მოიცავს დ.დიღმის მე-3 და მე-4 მ/რაიონებს |
| 5 | დიღომი | დ.დიღმის ახალი დასახლება | მოიცავს ტერიტორიას ს. დიღმის ჩრდილოეთ ნაწილიდან დიდი დიღმის დასახლებამდე, აღმოსავლეთის მხარეს ესაზღვრება დ. აღმაშენებლის ხეივნის ზონას |
| 6 | დიღომი | სოფელი დიღომი | მოიცავს ს. დიღმის ტერიტორიას |
| 7 | დიღომი | ვაშლიჯვარი | მოიცავს ვაშლიჯვრის ტერიტორიას გელოვანის გამზირამდე |
| 8 | დიღომი | დიდი დიღმის დასავლეთი ნაწილი | მოიცავს ტერიტორიას განაპირა დიღომი 1-ის, დ.დიღმის მე-3 და მე-4 მ/რ-ის, დ. დიღმის ახალი დასახლების ქვეუბნებიდან ადმინისტრაციულ საზღვრამდე |
| 9 | დიღომი | ს. დიღმის დასავლეთი ნაწილი | მოიცავს ტერიტორიას სოფელი დიღმიდან დასავლეთით ადმინისტრაციულ საზღვრამდე |
| 10 | დიღომი | დიღმის საცდელი მეურნეობის პირველი ზოლი | მოიცავს ტერიტორიას აღმაშენებლის ხეივნის ზონიდან აღმოსავლეთით დიღმის საცდელი მეურნეობის გაგრძელებამდე |
| 11 | დიღომი | დიღმის საცდელი მეურნეობის გაგრძელება | მოიცავს ტერიტორიას მდ. მტკვრიდან დიღმის საცდელი მეურნეობის ქვეუბნამდე |
| 12 | დიღომი | დიღომი | მოიცავს დიღმის დასახლებულ ტერიტორიას, მდ. მტკვრიდან დასავლეთის მიმართულებით აღმაშენებლის ხეივნის ზონამდე |
| 13 | დიღომი | დიღმის გაგრძელება | მოიცავს ტერიტორიას, რომელიც მოქცეულია გელოვანის და რობაქიძის გამზირების ზონებსა და მდ. მტკვარს შორის |
| 14 | ლისი | ლისის ტბა | მოიცავს ტერიტორიას ლისის ტბის გარშემო დასავლეთით ადმინისტრაციულ საზღვრამდე, სამხრეთ-აღმოსავლეთით ინტენსიფიკაციის ქუჩის ზონამდე |
| 15 | ლისი | ვეძისისა და ვაშლიჯვრის ქვეუბნების გაგრძელება | მოიცავს ინტენსიფიკაციის გზის აღმოსავლეთით მდებარე მთის ფერდს. სამხრეთიდან ესაზღვრება ვეძისის ქვეუბანი, ხოლო ჩრდილოეთიდან ვაშლიჯვრის ქვეუბანი |
| 16 | საბურთალო | ვეძისი | მოიცავს ვეძისის ტერიტორიას საბურთალო 1-ის ჩრდილოეთით ინტენსიფიკაციის ქუჩის ზონამდე |
| 17 | საბურთალო | ნუცუბიძის ფერდობი | მოიცავს ნუცუბიძის ფერდობის განაშენიანებულ ტერიტორიას |
| 18 | საბურთალო | ნუცუბიძის ფერდობისა და ჯიქიას ქვეუბნების გაგრძელება | მოიცავს ტერიტორიას ადმინისტრაციული საზღვრიდან ლისის ტბის, ნუცუბიძის ფერდობისა და ჯიქიას ქვეუბნებამდე |

| | | | |
|---|---|---|---|
| 19 | საბურთალო | ჯიქია | მოიცავს ტერიტორიას ვაჟა-ფშაველას ზონიდან დასავლეთით ადმინისტრაციულ საზღვრამდე |
| 20 | საბურთალო | ნაფეტვრები | მოიცავს ნაფეტვრების გზას, ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ნუცუბიძის ფერდობისა და ჯიქიას ქვეუბნების გაგრძელებას, სამხრეთიდან მდინარე ვერეს ხეობას |
| 21 | საბურთალო | ვაჟა-ფშაველას კვარტალები | მოიცავს ტერიტორიას ვაჟა-ფშაველას ქუჩის ზონიდან ნუცუბიძის ფერდობამდე, დასავლეთით ესაზღვრება ჯიქიას ქვეუბანს, აღმოსავლეთით კი საბურთალო 1-ს |
| 22 | საბურთალო | შანხაი | მოიცავს ვაჟა-ფშაველას გამზირის ზონის სამხრეთ ტერიტორიას დასავლეთით ესაზღვრება ჯიქიას ქვეუბანს, აღმოსავლეთით კი – თამარაშვილის ქუჩის ზონას |
| 23 | საბურთალო | საბურთალო 1 | მოიცავს ტერიტორიას ვეძისის ქვეუბანსა და ვაჟა-ფშაველას გამზირის ზონას შორის, დასავლეთით ესაზღვრება ვაჟა-ფშაველას კვარტალები, აღმოსავლეთით კი – პეკინის ქუჩის ზონა |
| 24 | საბურთალო | საბურთალო 2 | მოიცავს ტერიტორიას ვაჟა-ფშაველას გამზირის ზონიდან ალ.ყაზბეგის გამზირის ზონამდე, დასავლეთით ესაზღვრება თამარაშვილის გამზირის ზონას, აღმოსავლეთიდან კი – პეკინის ქუჩის ზონას |
| 25 | საბურთალო | საბურთალო 3 | მოიცავს ალ.ყაზბეგის ზონის სამხრეთით მდებარე ტერიტორიას საავტომობილო მაგისტრალამდე და ფანასკერტელის ქუჩამდე, დასავლეთით ესაზღვრება თამარაშვილის ქუჩის ზონა, აღმოსავლეთით კი – პეკინის ქუჩის ზონა |
| 26 | საბურთალო | პეკინი | მოიცავს ტერიტორიას პეკინის ქუჩის ზონასა და კოსტავას გამზირის ზონას შორის |
| 27 | საბურთალო | საბურთალოს სასაფლაო უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსი | მოიცავს ტერიტორიას შანხაის ქვეუბნიდან მდინარე ვერეს ხეობამდე, დასავლეთიდან ესაზღვრება ნაფეტვრების ქვეუბანი, აღმოსავლეთიდან – თამარაშვილის ქუჩის ზონა |
| 28 | საბურთალო | ბახტრიონი ფანასკერტელის გაგრძელება | მოიცავს გაუნაშენიანებელ ტერიტორიას ვაკე-საბურთალოს ახალი მაგისტრალის ზონასა და საბურთალო 3-ს შორის, დასავლეთით ესაზღვრება თამარაშვილის ქუჩის ზონა, აღმოსავლეთიდან – ბახტრიონი-ფანასკერტელის ქვეუბანი |
| 29 | საბურთალო | ბახტრიონი ფანასკერტელი | მოიცავს განაშენიანებულ ტერიტორიას ვაკე-საბურთალოს ახალი მაგისტრალის ზონიდან საბურთალო 3-ის ქვეუბნამდე, აღმოსავლეთიდან ესაზღვრება კოსტავას გამზირის ზონას |
| 30 | ბაგები | ბაგების დასახლება | მოიცავს ბაგების განაშენიანებულ ტერიტორიას |
| 31 | ვაკე | ვაკის აუზის მიმდებარე ტერიტორია | მოიცავს განაშენიანებულ ტერიტორიას თამარაშვილის ქუჩის ზონასა და ჩოლოყაშვილის გამზირის ზონას შორის |
| 32 | ვაკე | კუს ტბა | მოიცავს ტერიტორიას კუს ტბის გარშემო, სამხრეთიდან ესაზღვრება მთის ფერდი, ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ჩოლოყაშვილის გამზირის ზონა და ზემო ვაკის ქვეუბანი |
| 33 | ვაკე | ზემო ვაკე | მოიცავს ვაკის განაშენიანებული ტერიტორიის |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | სამხრეთ ნაწილს, სამხრეთიდან ესაზღვრება კუს ტბის ქვეუბანი, ჩრდილოეთიდან – ვაკე 2-ის ქვეუბანი |
| 34 | ვაკე | ვაკე 1 | მოიცავს განაშენიანებულ ტერიტორიას ზემო ვაკის ქვეუბანსა და ბარნოვის ქუჩის ზონას შორის |
| 35 | ვაკე | ვაკე 2 | მოიცავს ტერიტორიას ჭავჭავაძის ქუჩის ზონასა და აბაშიძის ქუჩის ზონებს შორის, დასავლეთიდან ესაზღვრება კუს ტბის ქვეზონა, აღმოსავლეთიდან – ვერა-მთაწმინდის ქვეუბანი |
| 36 | ვაკე | ქვემო ვაკე | მოიცავს ტერიტორიას ვაკე-საბურთალოს ახალი მაგისტრალიდან ჭავჭავაძის გამზირის ზონას შორის, დასავლეთიდან ესაზღვრება ქვემო ვაკე 1-ის ქვეუბანი, აღმოსავლეთიდან – ქვემო ვერის ქვეუბანი |
| 37 | ვაკე | ქვემო ვაკე 1 | მოიცავს ტერიტორიას ვაკე-საბურთალოს ახალი მაგისტრალიდან ჭავჭავაძის გამზირის ზონას შორის, დასავლეთიდან ესაზღვრება ვაკე-ყიფშიძის ქვეუბანი, აღმოსავლეთიდან – ქვემო ვაკის ქვეუბანი |
| 38 | ვაკე | ვაკე–ყიფშიძე | მოიცავს ტერიტორიას ვაკე-საბურთალოს ახალი მაგისტრალიდან ჭავჭავაძის გამზირის ზონას შორის, დასავლეთიდან ესაზღვრება თამარაშვილის გამზირის ზონა, აღმოსავლეთიდან – ქვემო ვაკე 1-ის ქვეუბანი |
| 39 | ვერა | ზემო ვერა | მოიცავს განაშენიანებულ ტერიტორიას ზემო ვაკისა და ვერა–მთაწმინდის ქვეუბნების სამხრეთით მდებარე მთის ფერდობამდე |
| 40 | ვერა | ვერა–მთაწმინდა | მოიცავს ვერის და მთაწმინდის განაშენიანებულ ტერიტორიას რუსთაველის გამზირის ზონისა და მელიქიშვილის გამზირის ზონის სამხრეთ დასავლეთით |
| 41 | ვერა | ქვემო ვერა | მოიცავს ტერიტორიას, რომელიც შემოსაზღვრულია სამხრეთიდან მელიქიშვილის გამზირის ზონით, დასავლეთიდან – ქვემო ვაკის ქვეუბნით, ჩრდილოეთიდან – გმირთა მოედნით და ჩრდილო აღმოსავლეთიდან კოსტავას ქუჩის ზონით |
| 42 | ვერა | ქვემო ვერა 1 | მოიცავს ვერის განაშენიანებულ ტერიტორიას რუსთაველის გამზირის ზონიდან ჩრდილო აღმოსავლეთის მიმართულებით მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპირომდე |
| 43 | ძველი თბილისი | მეიდანი | მოიცავს ტერიტორიას, რომელიც შემოსაზღვრულია დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან პუშკინის ქუჩის ზონით, სამხრეთიდან – კოტე აფხაზის ქუჩის ზონით და აღმოსავლეთიდან – კალას ქვეუბნით |
| 44 | ძველი თბილისი | კალა | მოიცავს განაშენიანებულ ტერიტორიას მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროდან დასავლეთით მეიდნის ქვეუბნამდე და კოტე აფხაზის ქუჩის ზონამდე |
| 45 | სოლოლაკი | სოლოლაკი | მოიცავს სოლოლაკის განაშენიანებულ ტერიტორიას ვერა-მთაწმინდის ქვეუბნიდან და კოტე აფხაზის ქუჩიდან სამხრეთის მიმართულებით ისანი-სამგორის გაუნაშენიანებელ ტერიტორიამდე |
| 46 | საბურთალო | სანაპირო 1 | მოიცავს ტერიტორიას მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროდან დასავლეთით კოსტავას ქუჩის ზონამდე |
| 47 | საბურთალო | სანაპირო 2 | მოიცავს ტერიტორიას მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროდან დასავლეთით ვეძისის ქვეუბნამდე და |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | კოსტავას ქუჩის ზონამდე ჩრდილოეთით ესაზღვრება სანაპირო 2-ის ქვეუბანი, სამხრეთიდან კი ქვემო ვერა1-ის ქვეუბანი |
| 48 | ორთაჭალა | ორთაჭალა | მოიცავს ტერიტორიას გორგასლის ქუჩის ზონის სამხრეთ დასავლეთით განაშენიანებული ზოლის ბოლომდე |
| 49 | ორთაჭალა | ნადიკვარი | მოიცავს ორთაჭალისა და კრწანისის ქვეუბნებს შორის მოქცეულ განაშენიანებულ ტერიტორიას |
| 50 | ორთაჭალა | კრწანისი | მოიცავს განაშენიანებულ ტერიტორიას გორგასლის ქუჩის ზონის სამხრეთ დასავლეთიდან ისანი-სამგორის გაუნაშენიანებელი ტერიტორიის ქვეუბნებამდე |
| 51 | ორთაჭალა | სოღალუღი | მოიცავს კრწანისის ქვეუბნის აღმოსავლეთით მდებარე განაშენიანებულ ზოლს, რომელიც მოქცეულია რუსთავის გზატკეცილის ზონასა და ისანი-სამგორის გაუნაშენიანებელი ტერიტორიის მთის ფერდს შორის |
| 52 | ორთაჭალა | შუა ორთაჭალა | მოიცავს განაშენიანებულ ტერიტორიას გორგასლისა და გულუას ქუჩების ზონებს შორის |
| 53 | ორთაჭალა | ხეივანი | მოიცავს განაშენიანებულ ტერიტორიას მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე სამხრეთ აღმოსავლეთის მიმართულებით გულუასა და გულიას ქუჩების ზონებამდე |
| 54 | ორთაჭალა | ქვემო ორთაჭალა | მოიცავს ავტოსადგურის მიმდებარე განაშენიანებულ ტერიტორიას, რომელიც მოქცეულია გულიას ქუჩის ზონასა და რუსთავის გზატკეცილის ზონებს შორის |
| 55 | ფონიჭალა | უსინათლოთა უბანი | მოიცავს ნაწილობრივ განაშენიანებულ ტერიტორიას მარნეულის გზატკეცილის ზონიდან ზემო ფონიჭალის ქვეუბნამდე, რომელიც სამხრეთით ბოლოვდება თბილისის ადმინისტრაციული საზღვრით |
| 56 | ფონიჭალა | ზემო ფონიჭალა | რუსთავისა და მარნეულის გზატკეცილების ზონების გასაყარიდან სამხრეთ აღმოსავლეთით მდებარე ნაწილობრივ განაშენიანებული ტერიტორია თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრამდე |
| 57 | ფონიჭალა | ქვემო ფონიჭალა | რუსთავის გზატკეცილის ზონასა და ზემო ფონიჭალას ქვეუბანს შორის მოქცეული ტერიტორია, რომელიც სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან ბოლოვდება ადმინისტრაციული საზღვრით |
| 58 | ფონიჭალა | სოფელი ფონიჭალა | რუსთავის გზატკეცილის ზონის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ნაწილობრივად განაშენიანებული ტერიტორია ადმინისტრაციულ საზღვრამდე და მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპირომდე |
| 59 | ფონიჭალა | ფონიჭალის სამრეწველო ზონა | მდ. მტკვარსა და რუსთავის გზატკეცილის ზონას შორის მდებარე ნაწილობრივ განაშენიანებული ტერიტორია, რომელსაც სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ესაზღვრება სოფელი ფონიჭალა |
| 60 | ისანი-სამგორი | ისანი-სამგორის გაუნაშენიანებელი ტერიტორია | გაუნაშენიანებელი ტერიტორია, რომელიც მოიცავს მთასა და ტყის მასივს და რომელიც შემოსაზღვრულია: სამხრეთიდან – ადმინისტრაციული საზღვრით, აღმოსავლეთიდან – მარნეულის გზატკეცილის ზონით, ჩრდილოეთიდან რუსთავის გზატკეცილის ზონით, სოღალუღის, კრწანისის, სოლოლაკისა და |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | ოქროყანის ქვეუბნებით, დასავლეთიდან – შინდისისა და ტაბახმელის მიმდებარე ქვეუბნებით |
| 61 | დიდგორი | ოქროყანა | მოიცავს ოქროყანის განაშენიანებულ ტერიტორიას, რომელიც მდებარეობს სოლოლაკის ქვეუბნის დასავლეთით წავკისის ველის ქვეუბანსა და ფუნიკულიორის ქვეუბანს შორის |
| 62 | დიდგორი | ფუნიკულიორი | მოიცავს ოქროყანის ქვეუბნის ჩრდილოეთით მდებარე გაუნაშენიანებელ ტერიტორიას და ტყის მასივს |
| 63 | დიდგორი | დიდგორის გაუნაშენიანებელი ტერიტორია | მოიცავს დიდგორის რაიონში არსებული ძირითადი განაშენიანებების მიმდებარე ტერიტორიას, რომლის უდიდესი ნაწილი უკავია მთისა და ტყის მასივებს |
| 64 | დიდგორი | კაკლები | მოიცავს ზაგებისა და წყნეთის ქვეუბნებს შორის მდებარე ნაწილობრივ განაშენიანებულ ტერიტორიას, რომელსაც ჩრდილოეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან აკრავს დიდგორის გაუნაშენიანებელი ტერიტორიის ტყის მასივი |
| 65 | დიდგორი | წყნეთი | მოიცავს წყნეთის განაშენიანებულ ტერიტორიას, რომელსაც ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ესაზღვრება კაკლების ქვეუბანი, დანარჩენი მხრიდან კი დიდგორის გაუნაშენიანებელი ტერიტორია და ტყის მასივი |
| 66 | დიდგორი | წყნეთის მიმდებარე ნაკვეთები | მოიცავს წყნეთი-ახალდაბის გზის მარცხენა მხარეს მდებარე ნაწილობრივ განაშენიანებულ ტერიტორიას, რომელსაც გარს აკრავს დიდგორის გაუნაშენიანებელი ტერიტორიის ტყის მასივი |
| 67 | დიდგორი | წყნეთის მიმდებარე ნაკვეთები 1 | მოიცავს წყნეთი-ახალდაბის გზის მარჯვენა მხარეს მდებარე ნაწილობრივ განაშენიანებულ ტერიტორიას, რომელსაც გარს აკრავს დიდგორის გაუნაშენიანებელი ტერიტორიის ტყის მასივი |
| 68 | დიდგორი | ახალდაბა | მოიცავს ახალდაბის ნაწილობრივ განაშენიანებულ ტერიტორიას, რომელსაც გარს აკრავს დიდგორის გაუნაშენიანებელი ტერიტორიის ტყის მასივი |
| 69 | დიდგორი | კვესეთი | მოიცავს კვესეთის ნაწილობრივ განაშენიანებულ ტერიტორიას, რომლის სამხრეთ-დასავლეთ საზღვარი მიუყვება ადმინისტრაციულ საზღვარს და გარს აკრავს დიდგორის გაუნაშენიანებელი ტერიტორიის ტყის მასივი |
| 70 | დიდგორი | კიკეთი | მოიცავს კიკეთის და ბეთანიის ნაწილობრივ განაშენიანებულ ტერიტორიას, რომელსაც გარს აკრავს დიდგორის გაუნაშენიანებელი ტერიტორია |
| 71 | დიდგორი | კოჯორი | მოიცავს კოჯრის ნაწილობრივ განაშენიანებულ ტერიტორიას, რომელსაც გარს აკრავს დიდგორის გაუნაშენიანებელი ტერიტორია და ტაბახმელა-წავკისის მიმდებარე მიწები |
| 72 | დიდგორი | ტაბახმელა-წავკისის მიმდებარე მიწები | მოიცავს გაუნაშენიანებელ ტერიტორიას, რომელიც მდებარეობს ტაბახმელას, წავკისისა და კოჯრის ქვეუბნებს შორის, სამხრეთიდან და ნაწილობრივ დასავლეთიდან ესაზღვრება დიდგორის გაუნაშენიანებელი ტერიტორია |
| 73 | დიდგორი | ტაბახმელა | მოიცავს ტაბახმელის ნაწილობრივ განაშენიანებულ ტერიტორიას, რომელსაც ესაზღვრება: |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | ჩრდილოეთიდან – წავკისისა და შინდისის ქვეუბნები, სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან – ტაბახმელას მიმდებარე მიწები, დასავლეთიდან – ტაბახმელა-წავკისის მიმდებარე მიწები |
| 74 | დიდგორი | ტაბახმელის მიმდებარე მიწები | გაუნაშენიანებელი ტერიტორია, რომელსაც ესაზღვრება: დასავლეთიდან – დიდგორის გაუნაშენიანებელი ტერიტორია, ტაბახმელა-წავკისის მიმდებარე მიწები და ტაბახმელის ქვეუბანი, ჩრდილოეთიდან – შინდისის ქვეუბანი, აღმოსავლეთიდან ისანი-სამგორის გაუნაშენიანებელი ტერიტორია, სამხრეთი ნაწილი კი მიუყვება თბილისის ადმინისტრაციულ საზღვარს |
| 75 | დიდგორი | შინდისი | მოიცავს შინდისის ნაწილობრივ განაშენიანებულ ტერიტორიას, რომელსაც აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ისანი-სამგორის გაუნაშენიანებელი ტერიტორია, სამხრეთიდან – ტაბახმელის მიმდებარე მიწები, დასავლეთიდან წავკისისა და ტაბახმელას ქვეზონები, ჩრდილოეთიდან – წავკისის ველი |
| 76 | დიდგორი | წავკისი | მოიცავს წავკისის ნაწილობრივ დასახლებულ ტერიტორიას, რომელსაც ესაზღვრება: ჩრდილოეთიდან – წავკისის ველი, აღმოსავლეთიდან – შინდისის ქვეუბანი, სამხრეთიდან – ტაბახმელის ქვეუბანი და ტაბახმელა-წავკისის მიმდებარე მიწები |
| 77 | დიდგორი | წავკისის ველი | მოიცავს გაუნაშენიანებელ ტერიტორიას წავკისისა და შინდისის ქვეუბნებიდან ჩრდილოეთით ოქროყანის ქვეუბნამდე და დიდგორის გაუნაშენიანებელ ტერიტორიამდე |
| 78 | ზაჰესი | ზაჰესი | მოიცავს ზაჰესის განაშენიანებულ ტერიტორიას ავჭალის ქვეუბნიდან დასავლეთის მიმართულებით ადმინისტრაციულ საზღვრამდე, სამხრეთით ესაზღვრება მდ. მტკვარი ჩრდილოეთით კი – ავჭალის ქვეუბნის გაგრძელება |
| 79 | ავჭალა | ავჭალის ქვეუბნის გაგრძელება | მოიცავს ავჭალის მიმდებარე გაუნაშენიანებელ ტერიტორიას თბილისის ჩრდილოეთით ადმინისტრაციული საზღვრიდან ზაჰესისა და ავჭალის ქვეუბნებამდე |
| 80 | ავჭალა | ავჭალა | მოიცავს ავჭალის განაშენიანებულ ტერიტორიას მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროდან ადმინისტრაციულ საზღვრამდე, რომელსაც სამხრეთ აღმოსავლეთით ესაზღვრება გლდანულას ქვეუბანი |
| 81 | ავჭალა | კონიაკის დასახლება | მოიცავს კონიაკის დასახლების ნაწილობრივ განაშენიანებულ ტერიტორიას მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროდან სარაჯიშვილის ქუჩის ზონამდე, ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ავჭალის ქვეუბანი, სამხრეთიდან – სანზონის ინდუსტრიული ქვეუბანი |
| 82 | გლდანი | გლდანულა | გლდანის მიკრორაიონებსა და ავჭალის ქვეუბნებს შორის მდებარე განაშენიანებული ტერიტორია, რომელსაც სამხრეთ-დასავლეთით ესაზღვრება |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | სარაჯიშვილის ქუჩის ზონა, ჩრდილო-აღმოსავლეთით გლდანის ტბის ქვეუბანი |
| 83 | გლდანი | გლდანის ტბის მიმდებარე ტერიტორია | მოიცავს გლდანის ტბის მიმდებარე ტერიტორიას გლდანის მიკრორაიონების განაშენიანების ზოლის ბოლოდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრამდე |
| 84 | გლდანი | გლდანის მე-6 მე-8 მ/რ | მოიცავს გლდანის მე-6, მე-8 მ/რ-ების განაშენიანებულ ტერიტორიას ვეკუას ქუჩის ზონიდან გლდანულას ქვეუბნამდე |
| 85 | გლდანი | გლდანის მე-5 მე-7 მ/რ | მოიცავს გლდანის მე-5, მე-7 მ/რ-ების განაშენიანებულ ტერიტორიას ვეკუას ქუჩის ზონიდან გიორგიწმინდის ქვეუბნამდე |
| 86 | გლდანი | გლდანის მე-2 მე-4 მ/რ | მოიცავს გლდანის მე-2, მე-4 მ/რ-ების განაშენიანებულ ტერიტორიას ვეკუას ქუჩის ზონიდან გლდანულას ქვეუბნამდე |
| 87 | გლდანი | გლდანის 1-ლი მე-3 მ/რ | მოიცავს გლდანის 1-ლი, მე-3 მ/რ-ების განაშენიანებულ ტერიტორიას ვეკუას ქუჩის ზონიდან გიორგიწმინდისა და მუხიანის ქვეუბნებამდე და მუხიანის ქვეუბნის გაგრძელებამდე |
| 88 | გლდანი | გიორგიწმინდა | მოიცავს გლდანის მე-5, მე-7 მ/რ-ების სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ნაწილობრივ განაშენიანებულ ტერიტორიას გლდანის გაუნაშენიანებელ ქვეუბნამდე |
| 89 | მუხიანი | მუხიანი | მოიცავს მუხიანის განაშენიანებულ ტერიტორიას, რომელსაც ესაზღვრება სამხრეთ-დასავლეთით თემქისა და თბილისის ზღვის მიმდებარე ქვეუბნები, აღმოსავლეთიდან – მუხიანის გაგრძელება, ჩრდილოეთიდან – გლდანის 1-ლი, მე-3 მ/რ-ები |
| 90 | მუხიანი | მუხიანის ქვეუბნის გაგრძელება | მოიცავს მუხიანის ქვეუბნის აღმოსავლეთით მდებარე ნაწილობრივ განაშენიანებულ ტერიტორიას გლდანის გაუნაშენიანებელ ტერიტორიამდე |
| 91 | გლდანი | გლდანის გაუნაშენიანებელი ტერიტორია | მოიცავს მუხიანის ქვეუბნის გაგრძელების, გიორგიწმინდისა, და გლდანის ტბის ქვეუბნების მიმდებარე გაუნაშენიანებელ ტერიტორიის მთის მასივებს აღმოსავლეთით ადმინისტრაციულ საზღვრამდე |
| 92 | თემქა | თემქა | მოიცავს თემქის განაშენიანებულ ტერიტორიას გურამიშვილის გამზირის ზონიდან აღმოსავლეთით თბილისის ზღვის სანაპიროს ქვეუბნის გაგრძელებამდე და მუხიანის ქვეუბნამდე |
| 93 | სანზონა | სანზონის ინდუსტრიული ქვეუბანი | მოიცავს სანზონის ინდუსტრიულად განაშენიანებულ ტერიტორიას მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროდან გურამიშვილის გამზირის ზონამდე, ჩრდილოეთიდან ესაზღვრება კონიაკის დასახლების ქვეუბანი, სამხრეთიდან – ზემო დიდუბის ქვეუბანი |
| 94 | სანზონა | სანზონა | მოიცავს სანზონის განაშენიანებულ ტერიტორიას გურამიშვილის გამზირის აღმოსავლეთით თბილისის ზღვის სანაპიროს ქვეუბნის გაგრძელებამდე, სამხრეთიდან ესაზღვრება ნაძალადევის ქვეუბანი, ჩრდილოეთიდან – თემქის ქვეუბანი |

| | | | |
|---|---|---|---|
| 95 | თბილისის ზღვა | თბილისის ზღვის სანაპიროს ქვეუბნის გაგრძელება | მოიცავს გაუნაშენიანებელ ტერიტორიას თბილისის ზღვის სანაპიროს ქვეუბნიდან განაშენიანების ზოლებამდე |
| 96 | ნაძალადევი | ლოტკინი | მოიცავს განაშენიანებულ ტერიტორიას ნაძალადევის ქვეუბნიდან თბილისის ზღვის სანაპიროს ქვეუბნამდე, სამხრეთიდან ესაზღვრება კუკია-სვანეთის უბნის ქვეუბანი |
| 97 | ნაძალადევი | ნაძალადევი | მოიცავს განაშენიანებულ ტერიტორიას ცოტნე დადიანის გამზირიდან თბილისის ზღვის სანაპიროს ქვეუბნის გაგრძელებამდე და ლოტკინის ქვეუბნამდე, ჩრდილოეთიდან ესაზღვრება სანზონის ქვეუბანი და სამხრეთიდან კუკია-სვანეთის უბნის ქვეუბანი |
| 98 | დიდუბე | ზემო დიდუბე | მოიცავს დიდუბის უბანს რკინიგზის ზოლიდან ცოტნე დადიანის ქუჩის ზონამდე, ჩრდილოეთიდან ესაზღვრება სანზონის ინდუსტრიული ქვეუბანი, სამხრეთიდან – თამარ მეფის გამზირისა და „თბილისი ცენტრალის" ზონა |
| 99 | დიდუბე | შუა დიდუბე | მოიცვს წერეთლის გამზირის ზონასა და რკინიგზის ხაზს შორის მოქცეულ განაშენინებულ ზოლს |
| 100 | დიდუბე | ქვემო დიდუბე | დიდუბის განაშენიანებული ზოლი მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროდან წერეთლის გამზირის ზონამდე, რომელსაც სამხრეთით ესაზღვრება თამარ მეფის გამზირისა და „თბილისი ცენტრალის" ზონა |
| 101 | თბილისის ზღვა | თბილისის ზღვის სანაპირო | მოიცავს ტერიტორიას თბილისის ზღვის სარკიდან შემოვლითი გზის სავალ ნაწილამდე |
| 102 | ჩუღურეთი | კუკია-სვანეთის უბანი | კუკიასა და სვანეთის უბნის განაშენიანებული ტერიტორია სასაფლაოსა და გაუნაშენიანებელი ტერიტორიის ჩათვლით ჩუღურეთის ქვეუბნიდან თბილისის ზღვის სანაპიროს ქვეუბნის გაგრძელებამდე, ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ნაძალადევისა და ლოტკინის ქვეუბნები, სამხრეთიდან – ელიას ქვეუბანი |
| 103 | ჩუღურეთი | ჩუღურეთი | ჩუღურეთის განაშენიანებული ტერიტორია აღმშენებლის გამზირის ზონიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით კუკია-სვანეთის უბნის ქვეუბნამდე, სამხრეთით მდ. მტკვრის მარცხენა სანაპირომდე და ავლაბრის ქვეუბნამდე |
| 104 | ჩუღურეთი | ქვემო ჩუღურეთი | მოიცავს ჩუღურეთის განაშენიანებულ ტერიტორის მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროდან აღმაშენებლის გამზირის ზონამდე, ჩრდილო-დასავლეთიდან ესაზღვრება თამარ მეფისა და „თბილისი ცენტრალის" ზონა, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან – მარჯანიშვილის ქუჩის ზონა |
| 105 | ჩუღურეთი | ქვემო ჩუღურეთი 1 | მოიცავს განაშენიანებულ ტერიტორიას, რომელიც შემოსაზღვრულია მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროთი, მარჯანიშვილის ქუჩის ზონითა და აღმაშენებლის ქუჩის ზონით |
| 106 | ავლაბარი | ავლაბარი | ავლაბრის მეტროს მიმდებარე განაშენიანებული ტერიტორია, რომელიც შემოსაზღვრულია |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | ჩრდილოეთით – ჩუღურეთისა და ელიას ქვეუბნებამდე, დასავლეთით და სამხრეთით – მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროთი, აღმოსავლეთით – ავლაბარი 1-ის ქვეუბნით |
| 107 | ავლაბარი | ელია | ავლაბრის ქვეუბნის ჩრდილო აღმოსავლეთით მდებარე ელიას განაშენიანებული ტერიტორია ვარკეთილი-ვაზისუბნის ქვეუბნების გაგრძელებამდე, ჩრდილო- დასავლეთიდან ესაზღვრება კუკია-სვანეთის უბნის ქვეუბანი და აღმოსავლეთიდან - მეტრომშენის ქვეუბანი |
| 108 | ავლაბარი | ქვემო ავლაბარი | მდ. მტკვარსა და ქეთევან წამებულის გამზირის ზონას შორის მოქცეული განაშენიანებული ტერიტორია, რომელსაც აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ნავთლუღის ქვეუბანი |
| 109 | ავლაბარი | ავლაბარი 1 | მეტროსადგურ „300 არაგველებს" და „ისანს" შორის მდებარე განაშენიანებული ტერიტორია, რომელიც სამხრეთიდან შემოსაზღვრულია ქეთევან წამებულის გამზირის ზონით, ჩრდილოეთიდან კი ელიასა და მეტრომშენის ქვეუბნებით |
| 110 | ისანი | მეტრომშენი | ქვემო ავლაბარის ქვეუბანისა და კახეთის გზატკეცილის ზონის ჩრდილოეთით მდებარე დასახლება ვაზისუბნის ქვეუბნამდე |
| 111 | ვარკეთილი | ვარკეთილი–ვაზისუბანი | ვაზისუბნის დასახლება კახეთის გზატკეცილის ზონიდან ჩრდილოეთით ვარკეთილისა და ვაზისუბნის ქვეუბნების გაგრძელებამდე, დასავლეთიდან ესაზღვრება მეტრომშენის ქვეუბანი, აღმოსავლეთიდან – მესამე მასივის ქვეუბანი |
| 112 | ვარკეთილი | ვარკეთილი–ვაზისუბნის ქვეუბნის გაგრძელება | მოიცავს გაუნაშენიანებელ ტერიტორიას, რომლის სამხრეთ საზღვარი მიუყვება ელიას, მეტრომშენის, ვარკეთილი-ვაზისუბნისა და ვარკეთილი 3-ის ქვეუბნებს, ჩრდილოეთიდან კი ესაზღვრება თბილისის ზღვის სანაპიროს ქვეუბნის გაგრძელება |
| 113 | ვარკეთილი | ვარკეთილი 3 | მესამე მასივის ქვეუბნის ჩრდილოეთით მდებარე განაშენიანებული ტერიტორია ვარკეთილი-ვაზისუბნის ქვეუბნის გაგრძელებამდე |
| 114 | ვარკეთილი | მესამე მასივი | მოიცავს კახეთის გზატკეცილის ზონის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიას ვარკეთილი 3-ის ქვეუბნამდე, დასავლეთით ესაზღვრება ჯავახეთის ქუჩის ზონა და ვარკეთილი-ვაზისუბნის ქვეზონა, აღმოსავლეთიდან – დამპალოს დასახლება |
| 115 | ვარკეთილი | ვარკეთილის მეურნეობა | მოიცავს დამპალოს დასახლების ქვეუბნის ჩრდილოეთით მდებარე განაშენიანებულ ტერიტორიას, ჩრდილო-აღმოსავლეთით ესაზღვრება კახეთის გზატკეცილის ჩრდილო მეორე ზოლი, დასავლეთით – ვარკეთილი-ვაზისუბნის ქვეზონის გაგრძელება |
| 116 | ვარკეთილი | დამპლოს დასახლება | მოიცავს კახეთის გზატკეცილის ზონის ჩრდილოეთით მდებარე დამპალოს სასაფლაოსა და მის შემოგარენს, ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ვარკეთილის მეურნეობის ქვეზონა, ვარკეთილი-ვაზისუბნის |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | ქვეუბნის გაგრძელება და კახეთის გზატკეცილის ჩრდილო მეორე ზოლი, დასავლეთიდან – მესამე მასივისა და ვარკეთილი 3-ის ქვეზონები, აღმოსავლეთიდან – ორხევის ინდუსტრიული ზონის ქვეუბანი |
| 117 | ლილო | დიდი ლილოსა და პატარა ლილოს ქვეუბნების გაგრძელება | მოიცავს დიდი ლილოსა და პატარა ლილოს ქვეუბნების მიმდებარე გაუნაშენიანებელ ტერიტორიას, რომელსაც სამხრეთიდან ესაზღვრება კახეთის გზატკეცილის ჩრდილო მეორე ზოლი, ჩრდილოეთიდან ადმინისტრაციული საზღვარი და დიდი ლილოს ქვეუბნის ჩრდილო ტყის მასივი |
| 118 | ლილო | პატარა ლილო | პატარა ლილოს განაშენიანებული ტერიტორია მიმდებარე რეგისტრირებული ნაკვეთებით, რომელსაც გარს აკრავს დიდი ლილოსა და პატარა ლილოს ქვეუბნების გაგრძელება და სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი მიუყვება თბილისის ზღვის სანაპიროს ქვეუბნის გაგრძელებას |
| 119 | ლილო | კახეთის გზატკეცილის ჩრდილო მეორე ზოლი | კახეთის გზატკეცილის ჩრდილო პირველი ზოლის ჩრდილოეთით მდებარე გაუნაშენიანებელი ტერიტორია, რომელსაც ჩრდილოეთიდან ესაზღვრება დიდი ლილოს ქვეუბანი, ახალი სამგორის ქვეუბნის გაგრძელება და, დიდი ლილოსა და პატარა ლილოს ქვეუბნების გაგრძელება, აღმოსავლეთიდან – ახალი სამგორის ქვეზონა, დასავლეთიდან ორხევის ინდუსტრიული უბანი, დამპალოს დასახლება, ვარკეთილის მეურნეობის ქვეუბანი და თბილისის ზღვის სანაპიროს ქვეუბნის გაგრძელება |
| 120 | სამგორი | ორხევის ინდუსტრიული უბანი | მოიცავს კახეთის გზატკეცილის ზონისა და ორხევის დასახლების ჩრდილოეთით მდებარე ინდუსტრიულად განაშენიანებულ ტერიტორიას, რომელსაც ჩრდილოეთით ესაზღვრება კახეთის გზატკეცილის ჩრდილო მეორე ზოლი, დასავლეთით – დამპალოს დასახლება, აღმოსავლეთით – კახეთის გზატკეცილის ჩრდილო პირველი ზოლი |
| 121 | სამგორი | ორხევის დასახლება | მოიცავს კახეთის გზატკეცილის ზოლიდან ჩრდილოეთით მდებარე ორხევისა და თეთრიხევის განაშენიანებულ ტერიტორიას, რომელსაც სამი მხრიდან ესაზღვრება ორხევის ინდუსტრიული ქვეუბანი |
| 122 | ლილო | დიდი ლილოს ქვეუბნის ჩრდილო ტყის მასივი | მოიცავს დიდი ლილოს განაშენიანებული ტერიტორიის ჩრდილოეთით ადმინისტრაციულ საზღვრამდე მდებარე გაუნაშენიანებელ მთისა და ტყის მასივებს, რომელსაც დასავლეთიდან ესაზღვრება დიდი ლილოსა და პატარა ლილოს ქვეუბნების გაგრძელება |
| 123 | ლილო | დიდი ლილო | პატარა ლილოს განაშენიანებული ტერიტორია მიმდებარე რეგისტრირებული ნაკვეთებით, რომელსაც აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ახალი სამგორის ქვეუბნის გაგრძელება, ჩრდილოეთიდან – დიდი ლილოს ქვეუბნის ჩრდილო ტყის მასივი, |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | დასავლეთიდან – დიდი ლილოსა და პატარა ლილოს ქვეუბნების გაგრძელება |
| 124 | ლილო | ახალი სამგორის ქვეუბნის გაგრძელება | მოიცავს ახალი სამგორის ქვეუბნისა და კახეთის გზატკეცილის ჩრდილო მეორე ზოლის ჩრდილოეთით მდებარე გაუნაშენიანებელ ტერიტორიას, რომელსაც აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ახალი სამგორის ქვემო დასახლება |
| 125 | ლილო | ახალი სამგორი | კახეთის გზატკეცილის ჩრდილო პირველი ზოლის ჩრდილოეთით მდებარე ნაწილობრივ განაშენიანებული ტერიტორია, რომელსაც ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ახალი სამგორის ქვეზონის გაგრძელება და ახალი სამგორის ქვემო დასახლება, დასავლეთიდან – კახეთის გზატკეცილის ჩრდილო მეორე ზოლი, აღმოსავლეთიდან ახალი სამგორის ქვემო დასახლება |
| 126 | ლილო | ახალი სამგორის ქვემო დასახლება | კახეთის გზატკეცილის ჩრდილო პირველი ზოლის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორია, რომელიც აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან შემოსაზღვრულია ადმინისტრაციული საზღვრით, დასავლეთიდან ახალი სამგორის ქვეუბნით და ახალი სამგორის ქვეუბნის გაგრძელებით |
| 127 | ლილო | კახეთის გზატკეცილის ჩრდილო პირველი ზოლი | კახეთის გზატკეცილის ზონის ჩრდილოეთით მდებარე 500-მეტრიანი გაუნაშენიანებელი ზოლი, რომელიც დასავლეთით შემოსაზღვრულია ორხევის ინდუსტრიული უბნით, აღმოსავლეთიდან – ახალი სამგორის ქვემო დასახლებით |
| 128 | ისანი | ზემო ისანი | კახეთის გზატკეცილის ზონასა და ქეთევან წამებულის გამზირის ზონებს შორის მოქცეული სარკინიგზო ზოლი, რომელიც დასავლეთიდან შემოსაზღვრულია ავლაბარი 1-ის ქვეზონით, აღმოსავლეთიდან – ჯავახეთის ქუჩის ქვეზონით |
| 129 | სამგორი | ნავთლუღი | მოიცავს ჩოლოყაშვილის ქუჩის ზონიდან ქეთევან წამებულის გამზირის ზონამდე მოქცეული განაშენიანებულ ტერიტორიას, რომელიც დასავლეთიდან შემოსაზღვრულია ქვემო ავლაბრის ქვეუბნით და მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროთი, აღმოსავლეთიდან – ქვემო მოსკოვის პროსპექტის ქვეუბნით |
| 130 | სამგორი | ნავთლუღის სანაპირო | მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდებარე ნაწილობრივ განაშენიანებული ტერიტორია, რომელიც შემოსაზღვრულია ჩოლოყაშვილის ქუჩის ზონით, ქვემო მოსკოვის პროსპექტით და ბარბარეს უბნით |
| 131 | სამგორი | კაირო | მოიცავს შერეულად განაშენიანებულ ტერიტორიას კახეთის გზატკეცილის ზონიდან სამხრეთით ზემო მოსკოვის პროსპექტისა და აფრიკის ქვეუბნებამდე |
| 132 | სამგორი | ზემო მოსკოვის პროსპექტი | მოიცავს მოსკოვის პროსპექტის ზონასა და კაიროს ქვეზონას შორის მოქცეულ განაშენიანებულ ტერიტორიას, რომელიც დასავლეთიდან |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | შემოსაზღვრულია ჯავახეთის ქუჩის ზონით, აღმოსავლეთიდან – ბარბარეს უბნით |
| 133 | სამგორი | ქვემო მოსკოვის პროსპექტი | მოიცავს მოსკოვის პროსპექტის ზონასა და ნავთლუღის სანაპიროს ქვეზონებს შორის მოქცეულ განაშენიანებულ ტერიტორიას, რომელიც დასავლეთიდან შემოსაზღვრულია ნავთლუღის ქვეუბნით, აღმოსავლეთიდან – ბარბარეს უბნის ქვეზონით |
| 134 | სამგორი | აფრიკა | მოიცავს აფრიკის განაშენიანებულ ტერიტორიას სარკინიგზო ხაზებთან ერთად, ჩრდილოეთიდან ესაზღვრება კაიროს ქვეუბანი, დასავლეთიდან – ზემო მოსკოვის პროსპექტი და ბარბარეს უბანი, სამხრეთიდან – 31-ე საავიაციო ქარხნის ტერიტორია, აღმოსავლეთიდან – თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მიმდებარე ტერიტორია |
| 135 | სამგორი | ბარბარეს უბანი | მოიცავს განაშენიანებულ ტერიტორიას, რომელიც მოქცეულია ნავთლუღის სანაპიროსა და აფრიკის ქვეუბნებს შორის, აღმოსავლეთიდან ესაზღვრება 31-ე ქარხნის ტერიტორია, დასავლეთიდან – ზემო და ქვემო მოსკოვის პროსპექტის ქვეუბნები |
| 136 | სამგორი | 31-ე საავიაციო ქარხნის ტერიტორია | ადმინისტრაციული საზღვრიდან ჩრდილო აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია, რომელიც ეკუთვნის 31-ე საავიაციო ქარხანას და ესაზღვრება ბარბარეს უბნის, აფრიკისა და თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორიებს |
| 137 | ლილო | აეროპორტის დასახლება | კახეთის გზატკეცილის ზონის სამხრეთით მდებარე განაშენიანებული ტერიტორია თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მიმდებარე ზონამდე, რომელსაც აღმოსავლეთით ესაზღვრება კახეთის გზატკეცილის სამხრეთ პირველი ზოლი და ლილოს სამრეწველო ზონა |
| 138 | სამგორი | თბილისის საერთაშორისო აეროპორტი და მიმდებარე ტერიტორია | მოიცავს თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორიას და დასავლეთით მდებარე ნაწილობრივად განაშენიანებულ ტერიტორიებს კაიროსა და აფრიკის ქვეუბნებმდე და 31-ე საავიაციო ქარხნის ტერიტორიამდე |
| 139 | სამგორი | აფრიკის ქვეუბნის გაგრძელება | მოიცავს აფრიკის ქვეუბნის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე განაშენიანებულ ტერიტორიას თბილისის აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიამდე |
| 140 | ლილო | კახეთის გზატკეცილის სამხრეთ პირველი ზოლი | კახეთის გზატკეცილის ზონის სამხრეთით მდებარე 500-მეტრიანი ინდუსტრიულად განაშენიანებული ზოლი, რომელიც დასავლეთიდან შემოსაზღვრულია აეროპორტის დასახლებით, აღმოსავლეთიდან – ადმინისტრაციული საზღვრით, სამხრეთიდან – ლილოს სამრეწველო ზონით |
| 141 | ლილო | ლილოს სამრეწველო ზონა | თბილისის საერთაშორისო აეროპორტის აღმოსავლეთით და კახეთის გზატკეცილის სამხრეთ პირველი ზოლის სამხრეთით მდებარე ნაწილობრივ |

| | | | სამრეწველოდ განაშენიანებული ტერიტორია თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრამდე |
|---|---|---|---|
| 142 | დავით აღმაშენებელის ხეივანი; | | - |
| 143 | მარშალ გელოვანის და გრიგოლ რობაქიძის გამზირები (ერთი ზონა); | | - |
| 144 | კოსტავას ქუჩა – გმირთა მოდნიდან ბოლომდე; | | - |
| 145 | პეკინის ქუჩა; | | - |
| 146 | ვაჟა-ფშაველას გამზირი – პეკინის ქუჩიდან ყოფილი ტროლეიბუსების პარკის ჩათვლით; | | - |
| 147 | ვაჟა-ფშაველას გამზირი – ყოფილი ტროლეიბუსების პარკიდან სანდრო ეულის ქუჩამდე; | | - |
| 148 | ყაზბეგის გამზირი; | | - |
| 149 | თამარაშვილის ქუჩა; | | - |
| 150 | ჩოლოყაშვილის გამზირი; | | - |
| 151 | ჭავჭავაძის გამზირი; | | - |
| 152 | აბაშიძის ქუჩა; | | - |
| 153 | მელიქიშვილის გამზირი და კოსტავას ქუჩა – დასაწყისიდან გმირთა მოედნამდე; | | - |
| 154 | თავისუფლების მოედანი და რუსთაველის გამზირი ვარდების რევოლუციის მოედნის ჩათვლით (ერთი ზონა); | | - |
| 155 | პუშკინის და ბარათაშვილის ქუჩები (ერთი ზონა); | | - |
| 156 | კოტე აფხაზის (ყოფილი ლესელიძის) ქუჩა | | - |
| 157 | ვახტანგ გორგასლის ქუჩა – გულიას მოდნიდან გორგასლის მოედნამდე; | | - |
| 158 | გულუას და გულიას ქუჩები; | | - |

| | | | |
|---|---|---|---|
| 159 | ვახტანგ გორგასლის ქუჩა გულიას მოდნიდან, რუსთავის გზატკეცილი და მარჯვენა სანაპირო გულიას ქუჩიდან მარნეულის გზატკეცილის კვეთამდე (ერთი ზონა); | | - |
| 160 | მარნეულის გზატკეცილი; | | - |
| 161 | რუსთავის გზატკეცილი (მარნეულის გზაკტეცილის გადაკვეთიდან ბოლომდე); | | - |
| 162 | ვეკუას ქუჩა გლდანის პარკის ბოლოდან წრიულად; | | - |
| 163 | ვეკუას ქუჩა მეტროს სადგურ „ახმეტელის თეატრიდან" გლდანის პარკის ბოლომდე; | | - |
| 164 | სარაჯიშვილის გამზირი – დასაწყისიდან ავჭალის ხიდამდე; | | - |
| 165 | გურამიშვილის გამზირი და ცოტნე დადიანის ქუჩა (ერთი ზონა); | | - |
| 166 | აკაკი წერეთლის გამზირი; | | - |
| 167 | თამარ მეფის გამზირი „თბილისი ცენტრალის" ტერიტორიის ჩათვლით (ერთი ზონა); | | - |
| 168 | კოტე მარჯანიშვილის ქუჩა და დავით აღმაშენებლის გამზირი – მარჯანიშვილის მოედნიდან თამარ მეფის გამზირამდე (ერთი ზონა); | | - |
| 169 | დავით აღმაშენებლის გამზირი – მარჯანიშვილის | | - |

| | | | |
|---|---|---|---|
| | მოედნიდან საარბრიუკენის მოედნის ჩათვლით (ერთი ზონა); | | |
| 170 | ქეთევან წამებულის გამზირი დასაწყისიდან წინანდლის ქუჩის კვეთამდე; | | - |
| 171 | ქეთევან წამებულის გამზირი – წინანადლის ქუჩის კვეთიდან „ისნის" ბაზრობამდე; | | - |
| 172 | ქეთევან წამებულის გამზირი – „ისნის" ბაზრობიდან და მოსკოვის გამზირი – ჯავახეთის ქუჩის კვეთამდე (ერთი ზონა); | | - |
| 173 | მოსკოვის გამზირი – ჯავახეთის ქუჩის კვეთიდან ბოლომდე; | | - |
| 174 | ჩოლოყაშვილის და ხმელნიცკის ქუჩები (ერთი ზონა); | | - |
| 175 | კახეთის გზატკეცილი – დასაწყისიდან ჯავახეთის ქუჩის კვეთამდე; | | - |
| 176 | ჯავახეთის ქუჩა – დასაწყისიდან მეტროსადგურ ვარკეთილის მოედნის ჩათვლით; | | - |
| 177 | კახეთის გზატკეცილი – ჯავახეთის ქუჩის კვეთიდან აეროპორტის გადასახვევამდე; | | - |
| 178 | კახეთის გზატკეცილი – აეროპორტის გადასახვევიდან ადმინისტრაციულ საზღვრამდე; | | - |
| 179 | ვაკე-საბურთალოს ახალი მაგისტრალი | | - |
| 180 | ინტენსიფიკაციის ახალი მაგისტრალი | | - |

*დანართი 2*

## დედაქალაქის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი

| ზონის ნომერი | ნორმატიული ფასი 1 კვ.მ ლარში |
|---|---|
| 1 | 23 |
| 2 | 9 |
| 3 | 34 |
| 4 | 31 |
| 5 | 26 |
| 6 | 36 |
| 7 | 46 |
| 8 | 9 |
| 9 | 9 |
| 10 | 70 |
| 11 | 17 |
| 12 | 85 |
| 13 | 85 |
| 14 | 16 |
| 15 | 16 |
| 16 | 170 |
| 17 | 43 |
| 18 | 5 |
| 19 | 68 |
| 20 | 21 |
| 21 | 170 |
| 22 | 170 |
| 23 | 255 |
| 24 | 255 |
| 25 | 255 |
| 26 | 298 |
| 27 | 60 |
| 28 | 60 |
| 29 | 128 |
| 30 | 77 |
| 31 | 170 |
| 32 | 255 |
| 33 | 255 |
| 34 | 425 |
| 35 | 425 |
| 36 | 340 |
| 37 | 213 |

| | |
|---|---|
| 38 | 153 |
| 39 | 255 |
| 40 | 383 |
| 41 | 383 |
| 42 | 383 |
| 43 | 680 |
| 44 | 255 |
| 45 | 340 |
| 46 | 170 |
| 47 | 145 |
| 48 | 170 |
| 49 | 51 |
| 50 | 102 |
| 51 | 43 |
| 52 | 128 |
| 53 | 51 |
| 54 | 60 |
| 55 | 5 |
| 56 | 7 |
| 57 | 7 |
| 58 | 7 |
| 59 | 6 |
| 60 | 3 |
| 61 | 30 |
| 62 | 34 |
| 63 | 3 |
| 64 | 60 |
| 65 | 92 |
| 66 | 34 |
| 67 | 34 |
| 68 | 43 |
| 69 | 4 |
| 70 | 15 |
| 71 | 26 |
| 72 | 13 |
| 73 | 17 |
| 74 | 8 |
| 75 | 14 |
| 76 | 21 |
| 77 | 11 |
| 78 | 33 |
| 79 | 3 |
| 80 | 26 |
| 81 | 21 |
| 82 | 20 |
| 83 | 20 |

| | |
|---|---|
| 84 | 30 |
| 85 | 30 |
| 86 | 60 |
| 87 | 60 |
| 88 | 14 |
| 89 | 26 |
| 90 | 9 |
| 91 | 3 |
| 92 | 30 |
| 93 | 34 |
| 94 | 43 |
| 95 | 14 |
| 96 | 17 |
| 97 | 55 |
| 98 | 43 |
| 99 | 145 |
| 100 | 51 |
| 101 | 34 |
| 102 | 26 |
| 103 | 170 |
| 104 | 204 |
| 105 | 136 |
| 106 | 255 |
| 107 | 30 |
| 108 | 213 |
| 109 | 145 |
| 110 | 34 |
| 111 | 17 |
| 112 | 9 |
| 113 | 17 |
| 114 | 26 |
| 115 | 14 |
| 116 | 15 |
| 117 | 5 |
| 118 | 9 |
| 119 | 9 |
| 120 | 13 |
| 121 | 17 |
| 122 | 3 |
| 123 | 9 |
| 124 | 3 |
| 125 | 9 |
| 126 | 8 |
| 127 | 17 |
| 128 | 34 |
| 129 | 34 |

| | |
|---|---|
| 130 | 13 |
| 131 | 17 |
| 132 | 26 |
| 133 | 26 |
| 134 | 14 |
| 135 | 17 |
| 136 | 13 |
| 137 | 17 |
| 138 | 14 |
| 139 | 13 |
| 140 | 14 |
| 141 | 10 |
| 142 | 102 |
| 143 | 119 |
| 144 | 748 |
| 145 | 1998 |
| 146 | 1505 |
| 147 | 451 |
| 148 | 748 |
| 149 | 451 |
| 150 | 1505 |
| 151 | 1998 |
| 152 | 1199 |
| 153 | 1199 |
| 154 | 1998 |
| 155 | 748 |
| 156 | 1199 |
| 157 | 298 |
| 158 | 153 |
| 159 | 34 |
| 160 | 34 |
| 161 | 34 |
| 162 | 34 |
| 163 | 1199 |
| 164 | 153 |
| 165 | 230 |
| 166 | 527 |
| 167 | 527 |
| 168 | 1998 |
| 169 | 451 |
| 170 | 748 |
| 171 | 298 |
| 172 | 230 |
| 173 | 230 |
| 174 | 43 |
| 175 | 94 |

| | |
|---|---|
| 176 | 374 |
| 177 | 94 |
| 178 | 43 |
| 179 | 68 |
| 180 | 34 |

# განმარტებითი ბარათი

## „დედაქალაქის ტერიტორიაზე მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ:

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი:

პროექტის მიღების მიზეზია „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 8 ოქტომბრის №784 ბრძანებულებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად, მიწის ნორმატიულ ფასს საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით წელიწადში ერთხელ, არაუგვიანეს ყოველი წლის თებერვლისა, ადგენს შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანო – საკრებულო.

ა.ბ.) პროექტის მიზანი:

პროექტის მიღების მიზანია, 2015 წლისათვის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ა.გ) პროექტის ძირითადი არსი:

საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 8 ოქტომბრის №784 ბრძანებულებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიწის ნორმატიულ ფასს საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით წელიწადში ერთხელ, არაუგვიანეს ყოველი წლის თებერვლისა, ადგენენ შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოები – საკრებულოები. ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე მუხლის პირველი მუხლის „ე.გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკრებულოს კომპეტენციას განეკუთვნება, საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

პროექტი კონკრეტული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოახდენს გავლენას მუნიციპალიტეტის ერთეულის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

პროექტის მიღება არ წარმოშობს მუნიციპალიტეტის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

**ბ.ე) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:**

პროექტის მიღება მოახდენს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე, რომლებიც მოექცევიან ამ პროექტის რეგულირების სფეროში.

**ბ.ვ) პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):**

პროექტით არ ხდება გადასახადის, მოსაკრებლის ან, სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრა.

**გ) პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:**

**გ.ა) პროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

პროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

**გ.ბ) პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

პროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

**გ.გ) პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

პროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

**დ.ა) პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება პროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

პროექტს თან არ ახლავს ექსპერტის შეფასება.

**დ.ბ) პროექტის ავტორი:**

პროექტის ავტორია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო.

**დ.გ) პროექტის წარმდგენი:**

პროექტის წარმდგენია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.